# სახალხო გაზეთი

№ 865 შაბათი, 6 აპრილი 1913 წ. № 865

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მ-ღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და ცალკეული განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალხის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



## სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება (კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ ორი წიგნი

1) უცხოეთის მწერლები (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა და სხვათა.
2) ქართველი ერის ისტორია, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შ ემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გად იხადონ **ნაწილობით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 3 მ.; 1 ივლისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:
1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში, სახალხის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.
3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.



ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზოლას

„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“

ი. გ. აბაშიძის ნათარგმნი.

**დაკვეთა შეიძლება: ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **ბაქოში**—მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.

„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“ „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107



## ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ასპინძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 520.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12$^1/_2$—1. |
| | **ფიდოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| | **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს. |
| ქირურგიული სნეულებანი | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11$^1/_2$—12$^1/_2$.) |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და საშობიარო სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **თიკანაძე ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ხუდაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1$^1/_2$ ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12$^1/_2$—1. |
| | **ფიდოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10$^1/_2$—11. |
| | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. |
| | **ფონდოევი, გ. ხ.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12$^1/_2$—1$^1/_2$ |
| | **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1$^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2$^1/_2$. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11$^1/_2$—12$^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., ვიზიტები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შედარებითი იაფად. წ. 1 35



## ქართული დრამატიული საზოგადოების წლიური საზოგადო კრება

დანიშნულია შაბათს, 6 აპრილს, საღამოს 8 ს. ქართულ თეატრში

კრების განსახილველი საგნები:
1) განხილვა და დამტკიცება დრამ. საზოგ. გამგეობის მოქმედების წლიურის ანგარიშისა.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) განსაკუთრებული სარევიზიო კომისიის მოხსენება ძველი გამგეობის ანგარიშების შესახებ.
4) გამგეობის სხვადასხვა მოხსენებანი.
5) საზოგადოების ახალი წევრების არჩევნები.
6) გამგეობის ახალი წევრების არჩევნები ნაცვლად იმათი, რომელთაც ვადა შეუსრულდათ.
7) სარევიზიო კომისიის ახალ წევრთა არჩევნები.

საზოგადო კრება, წესდების მე-14 მუხლის ძალით, კანონიერად ითვლება, თუ კრებას დაესწრო არა ნაკლებ 25 წევრისა. 1094

## „ნაკადულის“ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

რედაქცია აცნობებს თავის ხელის მომწერლებს, რომ ჟურნალის დამტარებელი **გიორგი ბაქრაძე 5 აპრილიდან რედაქციაში აღარ მსახურობს.** 1140

## ამერიკულ ვაზის სანერგეები „გიორგის შრომა“

დამზადებულია მრავალი ვაზის ნამყენი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ევროპიული ჯიშებისა. ასი 5 მანეთი. შეიძლება ნახევარის ფასდადებითაც გაიგზავნოს. მისამართი:

Ст. Гоми, Георгію Бетановичу Татіеву. 1142

## ახალი ამბავი ტფილისში!

## კულიჩები და პასკები

გირვანქა: 15, 20, 25 კაპ. და ძვირადაც.

**ყველა ღირსების პასკები—წმინდა ერბოთია გაკეთებული,** ვანილითა, ვარდის ზეთითა და სხვა. ვაძლევთ ნიმუშებს და ვკისრულობთ დამზადებას განყოფილებებში:

1) სუდებნაია, № 6, ✦ 2) წყნეთის ქუჩა, № 15.

208. პატივისცემით კანდიტერი **ილია ფრუიძე.**

## კავკასიის ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება

6 აპრილიდან 21 აპრილამდე არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება

## ჭლექის საწინააღმდეგო გამოფენა

ექიმის ფ. მ. ბლიუმენცალისა.

გამოფენა ღიაა შაბათს, ნაშუადღევის ორი საათიდან, შემდეგ კი ყოველ დღე ათიდან საღამოს 6 საათამდე.

შესასვლელი ფასი 20 კ., ჯარის-კაცებსა და მოწაფეთათვის 10 კ. თუ ჯგუფ-ჯგუფად გასინჯავენ, თითოს 5 კ. გადაახდევინებენ.

## დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

## წამლობა ჭლექისა.

იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **[illegible]** ქ., № 23 (დავითის ქ. კუთხე).

**ტელეფ. № 7—93.** 97

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ცივდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 696.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9$^1/_2$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11$^1/_2$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11$^1/_2$.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ. შაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11$^1/_2$ საათ.

**ვორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით.** 1053

## არსდება

ტფილის ქართველ მუშათა მომღერალ - მგალობ. გუნდი

**მიხ. კავსაძის** ხელმძღვანელობ. თ.

მიღება და ჩაწერა სულ მუდამ: კვირაობით, ოთხშაბათ. და შაბათობით, ჩერქეზიშვილის ანუ ავჭალის ქ., № 29, საღ. 5—7 საათამდე. 1149

სამტრედიაში

**ექიმი ე. ქ. აბულაძე** იღებს ავადმყოფ. ყოველ დღე, აგრეთვე **სწამლობს „606“ და „914“.** 1118

## ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1024

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 2. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

## ბუფეტი „სატივო“

ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.

✦ **აზიური საჭმელები ახალის სანოვაგისა** ✦

ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის. **ფასები ძლიერ ზომიერია.** 1114

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6$^1/_2$ საათ. კახეთის ქ., № 6.

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. იღება ნაშუადღ. 3—5$^1/_2$ ს. **ელიზაბედ.** ქ., № 94. კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 102

## ქუთაისში ექიმი ვ. თ. ტყეშელაშვილი.

ათ აპრილიდან ლებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

## კბილის ექიმი ა. გ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

## ექიმი კბილისა ნინო ჩხიკვაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.


## ისტორიული ნაბიჯი

13 დეკემბერი დიდმნიშვნელოვან ისტორიულ დღეთ ჩაითვლება ქართველთა ავტონომიურ მოძრაობის განვითარების ისტორიაში. ამ დღეს ჩვენმა დეპუტატმა. ვ. გელოვანმა, რუსეთის საპარლამენტო ტრიბუნიდან განაცხადა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა. ეს პირველი პოლიტიკური დეკლარაცია არის ქართველ ერისა, ოფიციალურად წამოყენებული მთელი რუსეთის წინაშე,—დეკლარაცია, რომელსაც უაღრესი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს. იწყება ახალი ხანა ამ საკითხის ისტორიაში, როცა იგი უნდა გახდეს სერიოზულ **პრაქტიკულ** პოლიტიკურ საკითხად, რომელსაც რუსეთის ხალხმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს და ანგარიში გაუწიოს, როგორც, ცოტად თუ ბევრად, მომწიფებულ საკითხს, მომწიფებულს, არა ერის ერთი ჯგუფის ან ინტელიგენციის მიმართულება-აზროვნებაში, არამედ ცხოვრების სიღრმეში, ერის თანამედროვე ისტორიულს პროცესში.

რასაკვირველია, პრაქტიკული შედეგი ახლანდელს ჩვენს პოლიტიკურს გამოსვლას არ მოჰყვება და IV სახ. სათათბირო საქართველოს ავტონომიის საკითხის გამოკვლევას არ შეუდგება: ამისთვის სხვა დრო და სხვა პოლიტიკური კონიუნკტურაა საჭირო; მაგრამ, ამ პირველის ნაბიჯის გადადგმა საჭირო იყო, თუნდ იმისათვის. რომ დროზე მეორე ნაბიჯიც იქმნეს გადადგმული და იმისთვის, რომ რუსეთის საზოგადოებრივ აზრის მომზადება იქმნას დაწყებული. უეჭველია ისიც, რომ ამ ერთის გამოსვლით არ უნდა გათავდეს ეს პირველი ნაბიჯი: ჩვენს დეპუტატს შემთხვევა კიდევ ბევრი ექნება და უნდა ისარგებლოს, რათა უფრო ვრცლად და გარკვევით აუწყოს რუსის საზოგადოებასა და ხალხს ქართველ ერის თანამედროვე პოლიტიკურ თვითშემეცნების საქმის მდგომარეობა.

რომ ამგვარ გამოსვლათა განმეორება საჭიროა, ამას მოწმობს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომელიც დღევანდელ საუბრის საგნად გვინდა ავიღოთ. ამ საგანს ჩვენს საზოგადოებაში უკვე მიაქციეს ყურადღება და ჩვენც მოვალენი ვართ შევეხოთ მას.

როგორ დაუხვდა რუსეთის საზოგადოებრივი აზრი საქართველოს ავტონომიის შესახებს დეკლარაციას? ჩვენ ვამბობთ სათათბიროსა და პრესსაზე,—ამ ორ დიდ ფაქტორზე, რომელთა საშუალებით, ბევრად თუ ცოტად, რუსის ერის საზოგადოებრივი აზრი მუშაობს. დიდის იმედებით არავინ იყო ამის მესახებ გამსჭვალული, მაგრამ სინამდვილემ ყოველს მოლოდინს გადააჭარბა. კარგად ვიცით, რომ, არა თუ გაბატონებულ წრეებს, არამედ რუსეთის ფართო, ეგრედ წოდებულ, ლიბერალურ საზოგადოებასაც არ ესიამოვნება და არ ეპრიანება ავტონომიის გაგონება, მაგრამ არც იმდენად მოსალოდნელი იყო, რომ სერიოზული პოლიტიკური წრეები კრინტსაც არ დასძრავდნენ დიდმნიშვნელოვან საკითხის შესახებ, რომელსაც საზოგადო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ასე კი მოხდა,— არც სათათბიროში, არც პრესსაში არ აღუძრავთ ლაპარაკი იმ მიმართვის შესახებ, რომელიც საპარლამენტო ტრიბუნიდან გაისმა, როგორც ერის სულისკვეთების გამომჟღავნება, როგორც დაჩაგრულ ერის სამართლიანი მოთხოვნა.

რით აიხსნება ეს გარემოება? ბევრ მიზეზის დასახელება შეიძლება, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გაამართლებს რუსის საზოგადოების, რუსის პრესსის დუმილს. ყველა მიზეზთა გარეშე ჩვენ საქმე გვაქვს, ალბად, რუსეთის საზოგადოების ისტორიულ სენთან. პირველის ზერელე შეხედვით, რუსის ლიბერალი საზოგადოება თითქო ფართო რადიკალურ შეხედულებითაა გამსჭვალული არარუსთა მესახებ და მზადაა მიანიჭოს მათ თვითგამორკვევის სრული უფლება. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეხედვით არის ასე, ნამდვილად კი საქმე სენტიმენტალურ და რომანტიულ სულისგანწყობილებით თავდება და რეალურად ხორცშესხმული არასოდეს არ ყოფილა. ჩვენ ვამბობთ რუსთა ფართო საზოგადოებაზე და არა უკიდურეს მემარცხენეებზე, თუმცა ამათ შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ ეროვნებათა მოთხოვნის შესახებ მათ პროგრამებშიაც ბევრი რამ არის დაუმთავრებელ-ბუნდოვანი. რუსის ლიბერალური საზოგადოება კი, სულ მცირე გამონაკლისით, ყოველთვის გულგრილად უხვდებოდა „ინოროდცების“ ამა თუ იმ რეალურ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოთხოვნათ.

გვეტყვიან, რუსეთის საზოგადოებას თავისი თავსატეხი საქმე აქვს, ჯერ დაუსრულებელი და ერთობ ძნელიო, რომ მას არა სცალიან ჯერ, თქვენს ავტონომიის საკითხს ყური ათხოვოსო. მაგრამ, ჯერ ერთი—ჩვენს ავტონომიას მჭიდრო კავშირი აქვს სწორედ იმ დიად საქმესთან და მეორეც ის, რომ არავინ არ მოითხოვს მათგან ავტონომიის დღესვე განხორციელებას. რუსეთის მოწინავე საზოგადოების პროგრამებში, მათს პრესსაში, ბევრ ისეთ საკითხზეა დღეს ლაპარაკი, რომელთა განხორციელებისაგან დღევანდელი რუსეთი შორს არის, მაგრამ ამ მიზეზით ხომ არ შეიძლება დუმილი დამყარდეს მომავალში განსახორციელებელ საკითხებზე?!

გვეტყვიან შემდეგ, ალბად, რომ თვით ავტონომიის საკითხი არ ყოფილა ჯერ იმდენად მომწიფებული, რომ რუსეთის პრესსის სალაპარაკო საგნად გამხდარიყო. გადამეტებით შეფასებას, არც ჩვენა ვკისრულობთ; ჩვენც ვიცით, რომ ჯერ მომწიფების საქმე, პროცესსი, დამთავრებული არაა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ საქართველოს მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა განსაზღვრულის პოლიტიკურის მანდატით გაგზავნა პეტერბურგს დეპუტატი და მარტო ამიტომაც კი საჭირო იყო რუსეთის

საზოგადოებრივის აზრის გამოთქმა... მეორეს მხრით, ისიც გავიხსენოთ, თუ როგორ მიეგება რუსეთის საზოგადოებრივი აზრი პოლონეთის დეპუტატთა დეკლარაციას. 1906 წლის 30 აპრილის სხდომაზე, 27 პოლონელმა დეპუტატმა წარუდგინა პირველ სახ. სათათბიროს მოთხოვნა პოლონეთის ავტონომიის შესახებ. ვინ იტყვის, რომ ეს საკითხი პოლონეთში მომწიფებული და უკვე რეალურ პოლიტიკის საკითხი არ იყოს; მაგრამ სათათბირომ დუმილით აღნიშნა პოლონელთა დეკლარაციაც და პრესსასაც არ შეუწუხებია თავი იმის განხილვა-დაფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სხვა დრო იყო, უფრო მარჯვე და უფრო შესაფერისი ამგვარ საკითხებზე მსჯელობისათვის...

აღარ გამოვუდგებით სხვა „გასამართლებელ გარემოებათა“ აღნიშვნას. ასე იყო თუ ისე, რუსეთის ფართო საზოგადოებრივმა აზრმა, გარეგნულად მაინც, შეუმჩნევლად დასტოვა ქართველთა ავტონომიის მოთხოვნის დეკლარაცია. მიუხედავად ამისა, ვიმეორებთ, ამ პირველ გამოსვლას დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ მნიშვნელობის გაღრმავებისა და გაძლიერებისათვის ხაჭიროა, როგორცა ვთქვით, რომ ამ ერთის დეკლარაციით არ გათავდეს საქმე. რუსეთის საზოგადოებრივ აზრის მოსამზადებლად, იმის ყურადღების გასაძლიერებლად ჩვენი საჭიროებისადმი, აუცილებლად საჭიროა ახლო მომავალში შემდეგი ნაბიჯიც იქმნას გადადგმული: უბრალო საზოგადო რეზოლიუცია—პრინციპის აღიარების მაგიერ, რამდენადაც შესაძლებელია, კონკრეტული საზოგადო პრინციპებით ხორცშესხმული საავტონომიო მოთხოვნა შემუშავდეს. ჩვენ არ ვგულისხმობთ კანონპროექტს, — ამისი ჯერ არც დროა, არც შეძლება, - ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ ისეთ პროექტზე, რომელშიაც საზოგადო გეგმა უნდა იყოს შემუშავებული საქართველოს ავტონომიისა თანამედროვე ჩვენი ცხოვრების კონკრეტულ პირობების მიხედვით. ასეთ საქმისათვის დროც დადგა, ნიადაგიც მომზადდა, მასალაც ბევრია და აუცილებელი საჭიროებაც დაიბადა, სხვათა შორის, იმისთვისაც, რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზრის მიმართულება გავიგოთ, რადგან, უეჭველია, ასეთი კონკრეტული პროექტი ძალაუნებურად აალაპარაკებს ჩვენს მტრებსაც და ჩვენს მეგობრებსაც.

## ორი კანონ-პროექტი

ბეჭდის თავისუფლება ერთი იმ თავისუფლებათაგანია, რომელიც მანიფესტის ძალით უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ რომელსაც დღემდისაც ვერ ეღირსა ჩამოყალიბება განსაზღვრულ კანონ-პროექტში. ამ ჟამად დროებითი კანონები მოქმედობს. ცხადია, ერთხელაც არის უნდა შემუშავებულიყო ნორმალური კანონი, რომელსაც მუდმივი ხასიათი ექნებოდა და ამასთანავე ერთად 17 ოქტომბრის მანიფესტის დედა-აზრთანაც იქნებოდა შეთანხმებული. მაგრამ სწორედ ეს გაძნელდა. მანიფესტის პირდაპირი აზრი ისეთია, რომ ბეჭდითი საქმე სრულიად თავისუფალი დ შეუზღუდველი უნდა იყოს. არ არსებობს არავითარი პასუხისმგებლობა, გარდა პასუხისმგებლობისა სასამართლოს წინაშე.

პრაქტიკაში კი ეს ვერ განხორციელდა. განახლებული ცხოვრების პირობები დაეტაკა ძველს ტრადიციებს და გაჩნდა კონფლიქტი, რომელიც დღესაც არ დასრულებულა. ასეთს პირობებში შეუძლებელი გახდა მთავრობისთვის კანონ-პროექტის შეტანა სათათბიროში. მაგრამ სათათბირომ თვითონ გამოიჩინა საკანონმდებლო ინიციატივა და მოისურვა ბეჭვდითი საქმის კანონპროექტების შემუშავება. როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრმა მაკლაკოვმა ცნობილ ინტერვიუში გამოსთქვა თავისი შეხედულება ბეჭვდითი საქმის შესახებ, ბევრს ვერ გაეგო, რითი ხელმძღვანელობდა მინისტრი. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ მინისტრის სიტყვები ნაყოფია შეერთებულ თავად-აზნაურობის საკანონმდებლო შემოქმედებისა. თავად-აზნაურთა ეს პროექტი, რომელიც საფუძვლად უდევს სათათბიროში მემარჯვენეთა მიერ შეტანილ კანონ-პროექტს, ზღუდავს ბეჭვდითი საქმეს და არა ანთავისუფლებს, როგორც ამას 17 ოქტომბრის მანიფესტი მოითხოვს. პროექტში ისეთი ზომებია ნაჩვენები, რომლებიც ბეჭვდითი საქმეს წინასწარ ცენზურაზე უარესს პირობებში აყენებს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ არა რუსთა გაზეთებისთვის საჭიროა ნებართვის აღება პასუხისმგებლობა, ოფიციალურ რედაქტორის გარდა, გამომცემლისა, პერიოდულ გამოცემათა აკრძალვა გამოსვლამდე და სხვა ამისთანები. ერთის სიტყვით, მემარჯვენეების მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი მთლად იქითკენაა მიმართული, რომ პრესა, რაც შეიძლება, შეიზღუდოს.

მეორე პროექტი კადეტებისაა. იგი, ცოტად თუ ბევრად, უახლოვდება 17 ოქტომბრის მანიფესტს და ანთავისუფლებს ბეჭვდითი საქმეს. სათათბიროს ის ჯგუფები, რომელთა ხელშიაც არის დღეს ძალა, ოქტომბრისტები და ნაციონალისტები, ვერც ერთი პროექტით ვერა კმაყოფილდებიან. მემარჯვენეთა პროექტს ლეღვის ფოთოლი არ აფარია და, ცოტა არ იყოს, არცხვენს ოქტომბრისტებს. ამიტომ მათ უმჯობესად მიაჩნიათ უარჰყონ ორივე პროექტი და შეიმუშაონ ისეთი, რომელშიაც იდუმალი გულის ზრახვა მემარჯვენეებისა დაფარული იქნება. კომპრომისი მხოლოდ 17 ოქტომბრის მანიფესტის დედა-აზრის უარყოფით მოხერხდება, და ოქტომბრისტებიც სცდილობენ დაუმტკიცონ ყველას, რომ ამნაირ ფასად მიღებულ კომპრომისსაც არ მოერიდებიან.

რას იზამთ, ეს მათი სტიქიაა!

## ქართული პრესა

უცნაურად სწერენ ისტორიას დასელები და ასევე უცნაურად ახასიათებენ თავიანთ მოწინააღმდეგეთა აზრებს. მაგალითისთვის შეგვიძლიან მოვიყვანოთ ერთი ადგილი ბ-ნ არგუსის კორესპონდენციიდან. კიევში სტუდენტ კ. გ—ლიძეს წაუკითხავს რეფერატი, რომლის ერთს ნაწილს ბ-ნი არგუსი ასე გადმოგვცემს:

„რეფერენტმა დაწვრილებით გაგვაცნო ს. ფედერალისტებსა და დასელებს შორის ამტყდარი დავა ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ. თუ პირველნი ქართველ მუშას ურჩევენ დროებით დაივიწყოს თავისი კლასობრივი ინტერესი ქართულ მრეწველობის გასაძლიერებლად, თუ პირველნი სწერენ: „**პირველი მუხლი ჩვენი პრაგრამისა მფარველობითი სისტემის შემოღებაა ისევ ქართველ ვაჭრების გასამდიდრებლად და გასამაგრებლად**“,*) დასელები კლასთა ბრძოლას ქადაგებენ.“

საინტერესოა საიდან, რომელ პროგრამიდან ამოიკითხა ეს „პირველი მუხლი“ თავისი იდეიური მოწინააღმდეგებისა! ასე მსუბუქად ისტორია არ იწერება და ვსწუხვართ, რომ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში უფრო დაკვირვებითა და კეთილსინიდისიერად არ ეკიდებიან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვლევა-ძიებას.

* *

„კოლხიდა“-ში დაბეჭდილია ბ-ნ პ. მიქელაძის წერილი რიონ გაღმა მხრის უნუგეშო და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნის შესახებ. რიონს ექვსი დიდი და მდიდარი სოფელი წაულეკია და მრავალი ხალხი გაუღატაკებია. უბედურება ისაა, რომ ეს პირველი და უკანასკნელი უბედური შემთხვევა არაა და ამიტომ ხსენებულ გაზეთის რედაქცია სამართლიანად და დროზე იძლევა რჩევას—საქმეს შველა უნდაო:

„ურემი რომ გადაბრუნდება—გზა მერე გამოჩნდებაო“... ესაა რომ ხშირად გვღუპავს ჩვენ. ეს დაუდევრობა გვეჩნევა ბევრს რასმეში. მდინარე რიონი ალბად ადრეც მოევლინებოდა ხოლმე წყალდიდობის დროს ამ ვრცელ ქალებს, რეცხდა და აპარტახებდა მათ, მაგრამ ყური არ ათხოვეს დროით ამ მოვლენას, თორემ ასე მძვინვარედ, როგორც წელს, არ მოასკდებოდა იგი ამ ნაყოფიერ ქალებს. მოსალოდნელი კი იყო ეს, და ამას იქით კიდევ უარესს უნდა მოელოდეს ეს კუთხე ქვემო-იმერეთისა. მიზეზი ამისა ისაა, რომ, რაც დრო გადის, უცბად მოვარდნილი წყალი თანდათან იმატებს:—ხე-ტყე უწყალოდ, დაუზოგველად იჩეხება, ახალის გაშენებას არავინ ფიქრობს, ლანქერსა და მთის ნაკადულ-ნიაღვარს არაფერი აბრკოლებს, არ იშრობს, ყველა დაქანებული მდინარეს ერთვის და მდინარეც ამძვინვარებული ღეკავს გზა-გზა ყველაფერს. და, რაკი ბუნებრივ დაბრკოლებას ასე შეუბრალებლად სპობს ადამიანი, ბუნებრივ ჯებირს, ხე-ტყეს ანადგურებს, უნდა იფიქროს იმაზე, რომ ხელოვნური დაბრკოლება, ჯებირი აღმართოს და მასაზღოებელი მიწა დაიცვას წალეკისაგან... იმ თავითვე რომ ეზრუნათ ამაზე, ექვსი სოფელი დღეს ასეთს გაჭირვებაში არ ჩავარდებოდა და საქმე ასე არ გართულდებოდა.

მაგრამ საქმეს კიდევ მოევლება და დროით უნდა შველა, ვიმეორებთ—წყალდიდობა უფრო მეტია მოსალოდნელი და ამას მეტი უბედურებაც მოჰყვება, თუ დროით მცოდნე კაცის ხელმძღვანელობით ხალხიც არ დატრიალდა, რომ მოსალოდნელი უარესი ჭირისაგან უზრუნველყოფილი დარჩეს. დღეს თუ ოთხი და ხუთი ათასი მანეთი უშველის ამ საქმეს, ხვალ, იქნება, ხუთი ათასმა თუმანმაც ვეღარ უშველოს“...

*) კურსივი ჩვენია. **რედ.**

## სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).

**4 აპრილის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **გოლუბევი.**

საბჭო შეუდგა პოლონეთის გუბერნიების ქალაქთა მართვა-გამგეობის შეცვლის კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას. უკამათოდ მიიღეს პირველი განყოფილება, რომლითაც პოლონეთის გუბერნიებზე ვრცელდება 1893 წლ. საქალაქო დებულება. ამ განყოფილების შესწორებებს და ცვლილებებს იხილავენ. კამათი გამოიწვია მეათე მუხლმა, რომელიც ჰსაზღვრავს ხმოსანთა საარჩევნო უფლებას. შეაქვთ სამი შესწორება:

**ზინოვიევი მეორე.** ვარშავაში ბინის ცენზი გადიდდეს 720 მანეთზე მეტამდის; ლოძში, ლიუბლინში და სასნოვიცში—360 მან., საგუბერნიო ქალაქებში: ბენდინსა, ვლოცლავსკსა, ზდერჟსა, ტომაშევსა, პეტროკოვსკსა და ჩენსტოხოვში—288 მან.; დანარჩენ ქალაქებში—168 მან.

**ენგელგარდტი** წინადადებას იძლევა, ეს მუხლი სათათბიროს რედაქციით მიიღოს საბჭომ.

**დურნოვო** მოითხოვს ბინის ცენზი მხოლოდ ვარშავაში გადიდდეს 720 მანეთამდე.

**დურნოვოს** საჭიროდ მიაჩნია პოლონეთის გუბერნიებში 1892 წლის დებულების შემოღება. თუ პოლონეთის გუბერნიებში მივანიჭებთ ბინის დამქირავებელთ საარჩევნო უფლებას, მაშინ შიდა გუბერნიებშიაც უნდა შემოვიღოთ იგი და ეს კი ქალაქის მეურნეობაზე ცუდად იმოქმედებსო. მოლაპარაკეს საჭიროდ მიაჩნია მხოლოდ ვარშავის ბინის დამქირავებელთ მიეხიჭოს საარჩევნო უფლება, რადგანაც იქ ბევრი რუსიაო.

**შებეკო.** საჭიროა ბინის დამქირავებელთ მიენიჭოთ საარჩევნო უფლება: ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ სახლის პატრონები აფერხებენ ქალაქის მეურნეობის წარმატებასო.

საბჭომ უარჰყო დურნოვოს შესწორება 63 ხმით წინააღმდეგ 62-სა.

**დურნოვოს** მეორე შესწორება შეაქვს: სრულიად ჩამოაშორონ ბინის დამქირავებელნი ქალაქის თვითმმართველობას.

შესწორება საბჭომ არ მიიღო. მიიღო მეათე მუხლი სათათბიროს რედაქციით და ზინოვიევის შესწორებით.

შემდეგ საბჭო გადადის 15 და 16 მუხლის განხილვაზე, ეროვნულ კურიების შესახებ.

**ნარიშკინს** შეაქვს შესწორება, სრულიად მოუსპონ ებრაელებს საარჩევნო უფლება; საქალაქო საქმეთა სამმართველომ უნდა დანიშნოს ქალაქის საბჭოში განსაზღვრული პროტესტი ებრაელ ხმოსნებისა.

**ზინოვიევი მეორე.** კანონ-პროექტი საკმაოდ ჰზღუდავს ებრაელთა უფლებას.

**ზუბჩანინოვი.** ჯერ კიდევ პირზე კლიტე ადევთ ებრაელთა მოწინააღმდეგეებს. შეიძლება დადგეს ისეთი დრო, როდესაც ებრაელთა თაობაზე ლაპარაკი ამ კათედრაზედაც კი იქნება აკრძალული. ბევრი სახელმწიფო, მათ შორის პოლონეთიც, დაღუპულია ებრაელთაგან. ებრაელთა საკითხი—მსოფლიო მნიშვნელობის საკითხია. მისი ზერელედ გადაწყვეტა შეუძლებელია. მოლაპარაკე იცავს ნარიშკინის შესწორებას.

**ენგელგარდტი** უკმაყოფილებას აცხადებს კაცთა მოძულე სიტყვების გამო. ებრაელები პოლონელებზე მეტ საფრთხეს არ წარმოადგენენ. იგი მოითხოვს, სრულიად უარჰყონ მეთექვსმეტე მუხლი.

საბჭომ უარჰყო შესწორებანი და მიიღო 15 და 16 მუხლი კომისიის რედაქციით.

საბჭო გადადის ენის საკითხზე.

**სტიშინსკი** ამბობს, საბჭოს სხდომებზე სიტყვიერი კამათი რუსულ ენაზე უნდა სწარმოებდესო.

**გოდლევსკი.** ენის შესახებ ყველაფერი ითქვა, გარდა ქალაქის მეურნეობის სარგებლობისა. ეს უმთავრესია: საჭიროა ხმოსნებმა სწორედ გამოსთქვან აზრები და ერთიერთმანეთისა გაიგონ რამე. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როცა ხმოსნები ისარგებლებენ თვისი ბუნებრივი ენით.

საბჭომ უარჰყო შესწორებანი და 28 მუხლი მიიღო კომისიის რედაქციით. ამ მუხლის ძალით ქალაქის საბჭოს ყოველნაირი საქმის წარმოება რუსულ ენაზე უნდა ხდებოდეს. მუხლის მეორე ნაწილში მიიღეს სტიშინსკის შესწორება, რომლის ძალითაც სხდომებზე სიტყვიერი კამათი რუსულ ენაზე უნდა ხდებოდეს. შემდეგ საბჭო შეუდგა 38-43 მუხლების განხილვას. ეს მუხლები ნებას აძლევს შინაგან საქმეთა მინისტრს ქალაქის საბჭო, ვადის გასვლამდე, ექვსის თვით დაითხოვოს.

**ზინოვიევი მეორე** წინააღმდეგია ამისი.

ადგილობრივ მეურნეობის საქმეთა მთავარ **სამართველოს უფროსი.** სამინისტრო კანონ-პროექტის ამ ნაწილს დიდ მნიშვნელობას აძლევს. ამით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის თვითმმართველობათა წესიერი მოქმედება. არ შეიძლება დავეთანხმოთ იმას, ვითომც ეს ზომა ქალაქის მეურნეობას ვნებას მიაყენებდეს. ექვს გარეშეა, საბჭოს ვადამდე დათხოვნა ... და იშვიათ შემთხვევებში ...

სამმართველოს უფროსი ეკამა... ზინოვიევ მეორეს. იგი მოითხო... მუხლის ყოველი პუნქტი და... იყოსო.

შემდეგი სხდომა 5 აპრილს ... დება.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **მეფის მოადგილის ავადმყოფობის გამო** ბათომს გაიწვიეს ტ...ლისელი ექიმი რუდენკო და ... მიანი, რომელნიც იქ დღეს მიემგზავრებიან.

✦ **ფრენა.** 4 აპრილს დიდ... მოედანზე მფრინავი ბ. ს. ქებ... უნდა გაფრენილიყო მონოპლანით. ნაშუადღევს 5 საათზე მონოპ... გამოიტანეს. მფრინავი ჩაჯდა ... მოემზადა გასაფრენად, მაგრამ რო... გორც კი ოდნავ ასცილდა დედ... წას, იმ წამს მოტორი უცებ გა... და მონოპლანი მიწაზე დაეცა ... რჯვენა ფრთა იმდენად დაუზია..., რომ შეუკეთებლად გაფრენა შ... ძლებელი გახდა. ამის შემდეგ გა... აცხადეს, რომ ამ დღეს მფრინ... აღარ გაფრინდებოდა. შემდეგი ფრ... დანიშნულია 16 აპრილისთვის. ... ჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, მ... დნე პირთა აზრი: ყოვლად შეუძ... ბელია ბ. ნ. ქებურიას გაფრენა ... დრომდე, სანამ ახლანდელი მოტორ... მისი მონოპლანისა გამოცვლილ ... იქნება, როგორც უვარგისი. რომე... ლიც დღეს თუ ხვალ ხიფათს მო... ტანს თამამ მფრინავს.

✦ **ოლგას საბებიო ინსტიტუ...** 1912 წლის 1 იანვარს ყოფილა 2... ბავშვი (89 ვაჟი და 145 ქალი), 191... წლის განმავლობაში მიუყვანიათ 14... ბავშვი (55 ვაჟი და 86 ქალი); 191... წლის განმავლობაში სულ ყოფი... 375 ბავშვი (144 ვაჟი და 231 ქა...). ბავშვების შენახვაზე და სამეურ... და საკანცელარიო საჭიროებებზე ... ერობო თანხიდან დახარჯულა 24,... მან. 70 კ., ხოლო ინსტიტუტის ... ტზე დახარჯულა 2,800 მან. 1... წლის პირველ იანვარს ინსტიტუ... ყოფილა 242 ბავშვი.

✦ **კიდევ გ. ზ. ქანანოვი.** ქალ...ქის გამგეობამ დაადგინა, სამართ...ში მისცეს ქალაქის იურისკონსულ...ტად ნამყოფი მ. ზ. ქანანოვი, რომე...ლმაც საქალაქო ფული გაფლანგ... ამ საკითხს ქალაქის საბჭო საბო...ლოოდ განიხილავს 8 აპრილის კრე...ბაზე.

✦ **საფოსტო განყოფილე...** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო... აზრად აქვს, ქალაქის მეხუთე უბა...ში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფი...ლება გახსნას. ძმ. ბაღიროვებმა სურ...ვილი განაცხადეს, განყოფილებას წელიწადში 1,500 მან. დაუთმონ თავისი სახლი აბანოებისა და ვორონცოვის ქუჩის კუთხეში შენობის შესაკეთებლად საჭირო ხარჯს-2,500 მან.-თვით ბაღიროვები კისრულობენ.

✦ **საელექტრონო განათებ... კონცესია.** ქალაქის მოურავმა 9 აპ...რილისთვის დანიშნა ქალაქის საბ...

## ხიზნები ჩვენში

(შემდეგი *)

სრული ჭეშმარიტებაა, რომ ხიზნობა სიღარიბით არის გამოწვეული და წარმოშობილი. თუმცა სიღატაკე და სიდუხჭირე კაპიტალისტურ წესწყობილებასაც ახასიათებს მაგრამ კაპიტალისტურ წყობილებაში ხიზნობას ალაგი არ აქვს და ამ კაპიტალისტურ ხანაში ხიზნობის წარმოშობა და განვითარება ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ხიზნობა მხოლოდ ისეთ წყობილებაში წარმოიშვება, სადაც ეკონომიურ სიდუხჭირესა და სიღატაკეს თან ერთვის აგრეთვე მწარმოებელ ხალხის **სრული** პოლიტიკურ-იურიდიული უუფლებობა. ასეთი ხანა გახლავსთ ხანა ბატონ-ყმობისა, ფეოდალურ ნატურალურ წესწყობილებისა, რომლის წიაღში მართლა რომ აღმოცენდა და განვითარდა ხიზნობა საქართველოში და ასევე ანალოგიურ წყობილებაში ევროპის ყოველ სახელმწიფოში.

ხიზნობის წარმოშობის ისტორიას ყველაზე უფრო მართლად, მეცნიერულად გვიხსნის პროფესორი ალ. ხახანაშვილი. მისი გამოკვლევა საქართველოს ფეოდალურ წეს-წყობილებისა და ბატონ-ყმობის წარმოშობა-დამკვიდრებისა საუკეთესო ნაწარმოებად უნდა იქმნას ჩვენ ლიტერატურაში ჩათვლილი. ფრიად საგულისხმიერო აზრები აქვს აგრეთვე გამოთქმული ხიზნობისა და ხიზნების შესახებ დღევანდელ გაზეთ „ბაქო“-ს რედაქტორ-გამომცემელს ბ. ხრ. ვერმიშევს, რომელმაც ხიზანთა ყოფაცხოვრება საგანგებოდ გამოიკვლია დუშეთის მაზრაში თავად ი. კ. მუხრან-ბატონის მამულში.

პროფესორი ალ. ხახანაშვილი ხიზნობის წარმოშობაში არავითარ სპეციფიურ და არაჩვეულებრივს, ანორმალურ, მოვლენას არა ჰხედავს. ხახანაშვილი ხიზნობის წარმოშობას ბატონ-ყმობის საერთო პირობებით გვიხსნის და ამ თვალსაზრისით პირდაპირ ნათლად გვიაშკარავებს საკითხის სინამდვილეს.

თვით ბატონ-ყმურ წეს-წყობილებაში ყოველგვარი უსწორ-მასწორობა, წოდებრივი განსხვავება და უპირატესობანი, ხახანაშვილის აზრით, წარმოშობილია ქონებრივის, ეკონომიურის ძალთა განწყობილებიდან. პროფესორი გვიამბობს: ბატონ-ყმობაში უნდა აღინიშნოს ორი ფაზისი განვითარებისა: **მომზადება ბატონყმობისა ეკონომიური მიზეზებით და იმის განმტკიცება კანონმდებლობით, მთავრობის აქტებით***) (კურსივი ყველგან ჩვენია. თ. ღ.).

ამნაირად, ყოველ მოვლენას ცხოვრებაში სათანადო ნიადაგი ჰქონია, რომელიც ეკონომიური პირობებისაგან გამომდინარეობენ. ამიტომ ხიზნობა, როგორც ერთი მსხვილი საზოგადოებრივი მოვლენა, სწორედ ამ ეკონომიური მიზეზებით უნდა იქმნას ახსნილი.

თავად-აზნაურობის დიდი უმრავლესობა აღიარებდა, რომ ხიზნობა მხოლოდ ეკონომიურ დამოკიდებულებაში იხატება და არა პიროვნულ—უფლებრივშიო. ხიზანი—შემოსტუმრებული, შემოხიზნული, თავ-შემოფარებულიაო. ხიზანს როგორც მოსულს, წასვლის ნებაცა აქვს, ის ამ მხრით თავისუფალია და სწორედ ამ თავისუფლებით განსხვავდება ხიზანი ნამდვილ ყმისაგანო. (ნამდვილი ყმა არის ტყვედ აყვანილი, ნაყიდი, სხვა და სხვა დანაშაულობით ხელში ჩაგდებული, ვალგადუხდელი და სხ.) ეს შეხედულება ხიზნებზე ისე ზერელეა, ვულგარული კარგად რომ დააკვირდეთ საგანს, მაშინვე შენიშნავთ ამ აზროვნების შეუწყნარებლობას.

თვითონ ბატონ-ყმობა ხალხის, გლეხ-კაცობის, უუფლებობით ხასიათდება. ბატონ-ყმობის წარმოშობა ჩვენ გვაჩვენებს, რომ ეკონომიური სიუძლურე ერთისა და ეკონომიური სიძლიერე მეორისა წარმოშობს და ჰქმნის ბატონ-ყმურ წყობილებას. ცხადია აქედან, რომ, როდესაც არსებობს ეკონომიური დამოკიდებულება ხიზნებისა ბატონებზე, წარმოიშობა ბატონობა მათ პოლიტიკურსა თუ იურიდიულ უფლებებზედაც.

ალბულას და ვახტანგის კანონები ხიზანსა და სხვა ყმებ შორის განსხვავებასაც არ ჰხედავს. პირიქით, ჩვენი სიგელ-გუჯრებიდან ვხედავთ, რომ თავის ნებით შემოსული ყმა, ე. ი. **ხიზანი, რამდენიმე ხნის შემდეგ ხდება ნამდვილი ყმა,** ყმა, რომელიც მოქალაქობრივს უფლებას მოკლებულია, არ შეუძლიან გადასვლა-გადმოსვლა, თავის ნებით ბატონების მინებება, ე. ი. ხიზანი მოკლებულია იმ ინდივიდუალურ ღირსებას, რომლის არსებობა აუცილებელი პირობა ხიზნობისა, თუ გვინდა თავად-აზნაურობისა და მთავრობის დოქტრინა ვიწამოთ. რომ ამ უკანასკნელთა აზრი ხიზნობის შესახებ მართალი იყოს, მაშინ მას **დროს ვითარებაც** არ უნდა უარჰყოფდეს თუ კი ხიზნობის განსაკუთრებული ხასიათი — პიროვნული უფლებები — დროთა გარემოებით იცვლება, ცხადია, ხიზანი კანდიდატი ყოფილა ნამდვილი ყმისა.

სამწუხაროდ, გარკვევით და ნათლად არავინ ამბობს, თუ როგორ გაჩნდა, როგორ დაიბადა და წარმოიშვა, ხიზნები და ხიზნობა. აღიარებენ ხიზანთა არსებობას, მის მდგომარეობას, მაგრამ **დასაბამს** კი ვერავინა ჰპოულობს.

მართლაც და საიდან უნდა გაჩენილიყო ბატონ-ყმობაში ხიზანი, პირადულ უფლებებით აღჭურვილი პიროვნება, როდესაც ასეთები ბატონ-ყმობის დროს სრულიად არ არსებობდა. ჩვენ ვხედავთ ბატონყმობაში ორ ძალას: პირველი ძალაა გაბატონებული თავად-აზნაურობა, მეორე—დამონებული გლეხობა. ხიზნები ამ მონა-გლეხებიდან უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ეს გლეხობა რანაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ თავისუფალ მასსად, როდესაც ის ყმურ მდგომარეობაშია? რანაირად შეიძლება გახდეს **მხოლოდ** ეკონომიურად დამოკიდებული, როდესაც ის უფლებრივადაც დამოკიდებულია?

მაგრამ საქმე აი რაში მდგომარეობს. გლეხ-კაცობა თავდაპირველად ერთნაირ უუფლებო მასსას წარმოადგენდა, მაგრამ უუფლებო იყო განსაზღვრულ ფარგლებში, ამა თუ იმ კონკრეტიულ პატრონის ხელში. თუ ამ საზღვრებს, თუ ამ წრეს რამე საშუალებით გადალახავდა, მაშინ თავისუფალი ჰხდებოდა, უნებლიედ დამოუკიდებელი იყო, და აი ასეთ დამოუკიდებელ გლეხს შეეძლო ხიზნად, სტუმრად, წასვლა, თავ-შეფარება, რაიცა წინანდელ მდგომარეობის, ყმობის კანდიდატობას წარმოადგენდა.

წარმოვიდგინოთ უფრო მარტივად ეს პერტურბაცია.

4

ბატონ-ყმობაში გლეხ-კაცს შეეძლო დამოუკიდებელი გამხდარიყო **გაპარვით,** ან-და მალვით. ყმა მოშორდებოდა ამა თუ იმ ხეობას, ამა თუ იმ კუთხეს. გადამალულის გამოძებნა, ნახვა, ძველ დროს თით... შეუძლებელი ხდებოდა. რომ გა... რვა გლეხ-ყმებისა ჩვეულებრივი ... ბავი იყო საქართველოში, ეს ყვე... ლასათვის ცხადია, საამისო საბუთე... ბი მრავლად შეიძლება გამოვსძებ... ნოთ, როგორც კანონდებულებ... ფურცლებიდან, ისე სიგელ-გუჯრე... ბიდან, არხეოგრაფიულ აქტებიდან და სხ. ეს მოვლენა იმდენად ჩვეულებ... რივი იყო, რომ ვახტანგი მას დი... დანაშაულადაც არა სთვლის.

სხვა და სხვა გზითა და საშუალე... ბით გაქცეულ-გადასულ ყმას, რო... გორც **დამოუკიდებელ** ძალას, თამამად შეეძლო თავი იმასთან შე... ეფარებინა, ვისთანაც მას უნდოდა, ვინც მას მოსწონდა და ვინც უფრო ... ხელსაყრელი იყო მისთვის. სრუ... ლიად დამოუკიდებელი ყოფა-ცხო... ვრება კი მას არ შეეძლო. დამო... კიდებლად ცხოვრება თავისუფა... მოქალაქობრივ ცხოვრებაში შეიძ... ლება მხოლოდ, ბატონ-ყმობა კი ... წყობილების წინააღმდეგობაა.

რადგანაც ყმა—ძალა ფრიად საჭი... რო და სასარგებლო იყო, რაიც კა... რგად ესმოდათ თვით ბატონებსაც, ამიტომ გლეხების ამყვანელ-მიმღე... ბიც ბევრი იყო, „მფარველობა“ ... ყველა ჰპირდებოდა. ვინაიდან ბა... ტონების მხრით ასეთ გლეხებზე დი... დი მოთხოვნილება იყო, „დამოუკი... დებელი“ გლეხები ამ ხელსაყრელ პირობით სარგებლობდნენ, თავის ... ლას ისინი სხვა და სხვა პირობ... უთმობდნენ პატრონს.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 864.

*) იხ. ალ. ხახანაშვილის ისტორიული გამოკვლევა: „ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“—ქ. ქ. გვ. 59.

ხმოსნებისა, სატეხნიკო საზოგადოებისა, ცნობილ ელექტრო-ტეხნიკოსებისა და სხვა მცოდნე პირთა თათბირი. თათბირმა უნდა განიხილოს წინადადებანი იმ პირთა, რომელთაც ქალაქის თვითმართველობისგან საელექტრონო კონცესიის მიღება სურთ, თათბირში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე პროფ. არტემიევი.

✦ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციამ ძმ. სეილანოვების სავაჭრო სახლში 115 ცალი კოლოფი უვარგისი კონსერვები აღმოაჩინა და მოსპო.

✦ **ჭლექთან ბრძოლა.** გვირილობა დღეს,—20 აპრილს, დიდი კიოსკები გაიმართება სახაზინო თეატრთან, საარტისტო საზოგადოებასთან, ერევნის მოედანზე, მიხეილის ქუჩაზე და ვერის დაღმართის თავში.

✦ ტრამვაის მოსამსახურეთა **შემნახველ-გამსესხებელ კასის** წლიური კრება დღეს მოხდება ტრამვაის პარკში.

✦ **საგეოლოგიო გამოკვლევა.** სამთო დეპარტამენტს აზრად აქვს, წელს გეოლოგიურად გამოიკვლიოს კახეთი, აფშერონის ნავთიანი ადგილები და კავკასიის მინერალურ წყლების რაიონი.

✦ **ბამბა.** საბოლოოდ გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიაში 1912 წელს 850,000 ფუთი წმინდა ბამბა მოსულა.

✦ **ბუნების მოყვარულთა საზოგადოება** ამ ჟამად აგროვებს სამახარო ფურცლებს, რომელიც კავკასიის ბუნებასა, ტიპებსა და ცხოვრებას ახასიათებს.

✦ **საინტერესო გამოფენა.** დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, არტისტულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში კავკასიის ტუბერკულოზის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოების ინიციატივით გაიხსნება ფრიად საინტერესო გამოფენა, რომელიც შეეხება ტუბერკულოზს (ჭლექს) და ამ სენთან ბრძოლას. ეს საშინელი სენი მთელს მსოფლიოს მოდებულია. მეცნიერულად გამოკვლეულია, რომ მეშვიდედი მთელი კაცობრიობისა ტუბერკულოზით (ჭლექით) იხოცება. განსაკუთრებით გავრცელებულია ტუბერკულოზი ქალაქში, მის მცხოვრებლების უღარიბეს და უგანათლებულეს წრეებში დიდ ზიანს აყენებს იგი აგრეთვე ჩვენს სამშობლოს და მიუხედავად ჩვენი ქვეყნის შესამჩნევ ბუნებისა ძლიერ გავრცელებულია ჩვენში, განსაკუთრებით კი კახეთში და იმერეთში. გამოფენის მასალა შეგროვილია ცნობილ მკვლევარის ექიმ ბლიუმენტალის მიერ და დიდ ინტერეს წარმოადგენს. აქ დიაგრამებით და ციფრებით წარმოდგენილია, თუ რა ზიანს აყენებს კაცობრიობას ეს საშინელი სენი, როგორ სწარმოებს მასთან ბრძოლა და რა შედეგებს შეიძლება მოელოდეს კაცობრიობა საქმის კარგი დაყენებით და მეცნიერების მიერ შემუშავებულ ზომების სარგებლობით. გამოფენა გაგრძელდება 21 აპრილამდის. შესვლა გამოფენაზე ღირს 20 კაპ. და ბავშვთა და მოწაფეთათვის კი 10 კაპ. დარბაზი დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდის ღია არის.

✦ **საბირჟო ცნობები.** 5 აპრილს შეთანხმება არ მომხდარა. სარგებლიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 70 კ., აძლევენ—85 მან. 45 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. 10 კ. აძლევენ—82 მან. 60 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—78 მან., 75 კ., აძლევენ—77 მან. 75 კაპ.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ცეცხლის მქრობელ თავისუფალ საზოგადოების** გამგეობის კრება 4 აპრილს მოხდა. გამგეობამ შეიმუშავა ინსტრუქციები საზოგადოების სხვა და სხვა კომისიისათვის და დაადგინა: დაარსოს რაზმი ბუხრის მილების გამწმენდავისა და გამართოს 5 მაისს სეირნობა საზოგადოების ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულების** კრება დღეისათვის არის დანიშნული მიმდინარე წლის შემოსავლის აღრიცხვის განსახილველად და ხარჯის ამკრებ მამასახლისისა და მის თანაშემწეთა ასარჩევად.

✦ **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** გამგეობამ 4 აპრილის გამგეობის კრებაზე დაადგინა, დაიქირავოს ელისაბედის ქუჩაზე სახლი № 68 ჭლექიანთა ამბულატორიისთვის, რომელიც დღემდე ქალაქის საავადმყოფოსთან იყო მოწყობილი. ამბულატორიაში იქნება ლაბორატორია და მუზეუმი.

## ქუთაისი

✦ ქალაქის საამშენებლო კომისიამ შეიმუშავა ნორმალური პირობის პროექტი, ქალაქში კერძო პირთაგან საელექტრონო სადგურის მოწყობის შესახებ.

✦ სასამართლოს თავმჯდომარეს მოუვიდა იუსტიციის მინისტრისგან ბრძანება, წარუდგინოს მომავალ მეორე განყოფილების გახსნის მოსალოდნელ ხარჯთ-აღრიცხვა.

## გორი.

✦ ბ. გიორგი მოსესძეს გოგიაშვილს ბლომად შეუძენია შავი და ვერცხლის ძველი ფული ქართული, რუსული, სპარსული, ოსმალური, ფრანგული და სხვ. ზოგზე ჰხატია ემბლემად ცხენი, სირაქლემა, აფრაგაშლილი ნავი და სხვ. დროსა და ჟამს ზოგისთვის თავისი დაღი დაუსვამს და ძნელი გასაგებია ვის, ან რომელ საუკუნეს ეკუთვნის. გოგიაშვილს განზრახვა აქვს ზოგიერთი მათგანი ქართულ მუზეუმს შესწიროს.

✦ **სასოფლო ბანკების და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა საყურადღებოდ.** რადგანაც სასოფლო ბანკებსა და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებში რუსულის რიგიანად უცოდინარობისა გამო ხშირად ბრკოლდება ხოლმე წიგნების წარმოება, გორის ქართველ გამომცემ. ამხან. „ქართლის“-ს სტამბის გამგემ გადასწყვიტა ააცილოს ხსენებულ ბანკებსა და ამხანაგობებს ეს სიძნელე თავიდან და რუსულ ტექსტს ქართული თარგმანიც დაურთოს ხოლმე. ამჟამად „ქართლის“-ს სტამბაში ბლომადაა დამზადებული წიგნები, ბლანკები, ფორმები და სხვ. სოფლის საკრედიტო და შემნახვ. გამსესხ. ამხანაგობათათვის. რუსულ ტექსტს ქვემოდ უძღვის ქართული თარგმანი, ისე რომ ყოველი რუსულის სუსტად მცოდნეთათვის საქმის წარმოება ერთი-ორად ადვილი ხდება. დაბეჭდილია წიგნები კარგს ქაღალდზე, სუფთად, ლამაზად და ერთად მსყიდველთ საკმაო პროცენტებიც ეძლევათ.

## დონის როსტოვი.

✦ კვირას, 31 მარტს, ყაზანის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლადო. გალობდა ქართულად ქალვაჟთაგან შემდგარი ხორო ბ. ხანდამიშვილის ხელმძღვანელობით. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო მდგომარეობისა და მიმართულების გაურჩევლად. იყვნენ აგრეთვე რუსებიც. მთავარმა ქართულად წარმოსთქვა „სანატრელსა შინა დაძინებასა“.

— ტაგანროგის ეპისკოპოსის ნებართვით, ყაზანის ეკლესიის დეკანოზი მ. კრასნოკუტსკი აღდგომას სახარებას და ასამაღლებლებს ქართულად წაიკითხავს და წარმოსთქვამს. იგალობებს ქართული ხოროც.

# ქართული კონცერტი

27 აპრილისთვის ქართულ თეატრში დანიშნულია ფრიად საინტერესო კონცერტი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა. როგორც გადმოგვცეს, კონცერტი სამის განყოფილებისაგან შესდგება. პირველ განყოფილებაში შესრულებულ იქმნება იპპოლიტოვ-ივანოვის ნაწარმოები, სუიტა „ივერია“, რომელშიაც სხვა და სხვა ქართული ჰანგები შედის. მეორე განყოფილებაში დადგმული იქნება ბ-ნ ზ. ფალიაშვილის ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი“-დან მეხუთე სურათი. სურათშია აბესალომის არია და დიდი „ფინალი“. მესამე საკონცერტო განყოფილებაში შესრულებულ იქნება სხვა და სხვა ქართული სიმღერები ორკესტრით. შეასრულებენ ნ. კლენოვსკისა, ა. ნ. ყარაშვილისა და ზ. პ. ფალიაშვილის ნაწარმოებებს. სხვათა შორის იმავ „აბესალომ და ეთერი-დან“ იმღერებენ რამდენიმე ნომერს: „აბიო მეფის ქება“, დიდი კვარტეტი ეთერისა, მარიხისა, ნათელა დედოფლისა და აბესალომისა. იქნება სხვა ნომრებიც.

არ შეგვიძლიან განსაკუთრებულის სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ეს გარემოება. ქართველი საზოგადოება დიდი ხანია ჰგრძნობს, რომ საჭიროა ასეთი კონცერტების გამართვა. გარდა იმისა, რომ თავისთავადაც ეს კონცერტები მოსასმენად სასიამოვნო იქნება, ქართულ მუსიკის განვითარებასაც შეუწყობს ხელსა და ქართველ კომპოზიტორებსა და აღმასრულებლებს ფართო ასპარეზს გაუშლის. არ უნდა შეგვაშინოს იმ გარემოებამ, რომ დღეს კონცერტებზე მხოლოდ ოპერის ნაწყვეტებსა და ცალკე არიებს მოვისმენთ. ქართული მუსიკაც განვითარდება, გაძლიერდება ხალისი და ხვალ მთელი ოპერების დადგმაც მოხერხდება. ჯერ ეხლაც, კონცერტებისთვის საკმაო მასალაა მოგროვილი. პერიოდულად რომ ასეთი კონცერტები იმართებოდეს, მასალა უფრო გაიზრდება და საინტერესო გაჰხდება. იმედია ქართველი საზოგადოებაც ამ საინტერესო კონცერტს ჯეროვანის ყურადღებით მოეკიდება და ამით ხელს შეუწყობს ქართულ ეროვნულ მუსიკის განვითარებას, რასაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საერთო გათვითცნობიერებაში, ვიდრე პოეზიასა და ხელოვნების სხვა დარგებს.

# კავკასიელ ქალთა საზოგადოების კრებაზე

დავესწარი კავკასიელ ქალთა საზოგადოების საზოგადო კრებას. იგი მოწვეული იყო ქართველ ქალთა ერთი წინადადების განსახილველად.

საქმის გარემოება შემდეგია: ქართველ ქალთა ჯგუფმა მიმართა კავკასიელ ქალთა საზოგადოებას თხოვნით—მიიღოს ქართველი ქალები თავის წრეში იმ პირობით, რომ ამ ქალებმა შეადგინონ ცალკე, ავტონომიური, სექცია თავისი გამგეობით და შინაურ ქართველ საქმეებში (ქართული ლექციები, სკოლები, წრეები, კლუბები) ერთგვარი დამოუკიდებლობით. რასაკვირველია ყველა საქმეში ქართველი ქალები კავკასიელ ქალთა საზოგადოების წესდების საერთო ფარგლებში იმოქმედებდნენ. არც ერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული ინიციატივა, ახალი საქმე, ქართველ ქალთაგან დაწყებული, საზოგადოების გამგეობის დაუკითხავად არ განხორციელდებოდა. კავკასიის უნქალთა საზოგადოების გამგეობაში და ყოფილიყვნენ ქართულ სექციის წარმომადგენელნი, რომელნიც აცნობებდნენ გამგეობას ყველაფერს სექციის მოქმედების შესახებ. დამკვიდრდებოდა ცოცხალი ურთიერთობა გამგეობისა და სექციის შორის, რომლის ავტონომია საჭირო იყო საქმის პრაქტიკული განვითარების გასაადვილებლად, როგორც მაგალითად, ტფილისის სახალხო უნივერსიტეტში, დაწყებიდანვე, სხვა და სხვა სექციებია—ქართული, სომხური, რუსული, ოსური და სხ. ქართული, სამშობლო ენის მცოდნე ქართველი კაცი, როგორც თვითეული ადამიანი დედა მიწის ზურგზე, რასაკვირველია, პრაქტიკულად უფრო ადვილად და უფრო ნაყოფიერად მოქმედობს თავის თანამემამულეთა შორის, რადგან მათთან დაბადებით, აღზრდით და ზნე-ჩვეულებით დაახლოვებულია.

თავის ფარგლში მოღვაწე ქართულ სექციას მტკიცე კავშირი აქვს სახალხო უნივერსიტეტში საზოგადოების გამგეობასთან, სადაც კავკასიაში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა წარმომადგენლებია. ეს კავშირი—სხვა და სხვა ეროვნებათა შორის გზა-და-ხიდის, ძმური ერთობის, შემქმნელია.

ამგვარი ეროვნული საზოგადოებანი, ცენტრალურ საზოგადოების გვერდით, არსებობს აგრეთვე კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში. ეს მოვლენა საზოგადოების განვითარებას კი არ აფერხებს, პირიქით—ხელს უწყობს.

ეს ნათელი ჭეშმარიტება კავკასიელ ქალთა საზოგადოების კრებაზე უარყოფილ იქნა. მხოლოდ ორი გონიერი დამცველი აღმოუჩნდა—ქ-ნი შახნაზაროვისა (თავმჯდომარე საზოგადოებისა) და ტ. ა. როოპი (ავლაბრის ღარიბ ხალხში ცნობილი მოღვაწე ქალი). უმრავლესობა ორატორ ქალებისა შეუგნებლად დაუხვდა ქართველ ქალთა წინადადებას და მათ განცალკევების, სრული დამოუკიდებლობის, სურვილი დასწამა. სიტყვა „ავტონომია“ რაღაც საფრთხე ეგონათ. ისე დაშინდნენ, რომ ვერც კი შეიგნეს ასეთი, დღესავით ნათელი, ჭეშმარიტება: არც ერთი ჭკუათამყოფელი ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი, არ მიმართავს თავის მზგავსს, ან მზგავსთა კრებულს, წინადადებით—მიმიღე შენს წრეში იმ პირობით, რომ შენგან სრულიად განცალკევებული და დამოუკიდებელი ვიყოო. თვითეული ადამიანი, კავშირს კავშირისთვის და არა მისგან უკუქცევისათვის ეძებს, რასაკვირველია.

# ხმა კიევიდან

4.

ძვირფასის მასწავლებლის და საუკეთესო მამულიშვილის არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებამ აქაურ სტუდენტობას ძლიერ დასწყვიტა გული. როგორც დეპეშებით ეცოდინება მკითხველს, გადახდილ იქმნა განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი, ხუთშაბათს, 28 მარტს, ვლადიმირის ტაძარში. გვინდოდა ქართულად ყოფილიყო, მაგრამ ნება არ მოგვცეს. გალობდა ქართველ სტუდენტთა ხორო, რომელმაც მაინც სთქვა რამდენიმე საგალობელი ქართულად. ქართულად სთქვა რამდენიმეჯერ აგრეთვე ქართველმა მღვდელმა მ. ანტონ ფირცხალავამ, რომელიც აქაურ აკადემიაში სწავლობს.

ქართველ სტუდენტებში არსებულ ერთ-ერთ საეროვნო ჯგუფს, რომელიც სწავლობს ქართულ ლიტერატურა ისტორიას და ჩვენს მიმართულებას, წევრთა გადაწყვეტილებისამებრ, დაერქვა „არჩილ ჯორჯაძის სახელობის წრე“.

* *
*

წინადაც ვწერდი, უკრაინელები ძალიან კარგად გვეპყრობიან, სიმპატიით გვეკიდებიან მეთქი, სხვათა შორის, ზემოხსენებულ პანაშვიდს რამდენიმე უკრაინელიც დაესწრო. აღნიშნავდნენ, ერთი დღით ადრე რომ გამოგვეცხადებინათ გაზ. „რადაში“, უფრო მეტი იქნებოდა, რადგან მსურველი ბევრი იყოო.

იმავე 28 მარტს საკომერციო საკრებულოს დარბაზში უკრაინელებმა გამართეს თავისი საყვარელი მგოსნის, უკვდავ პოეტის ტარას შევჩენკოს სახელობის საღამო. შემოსავლის ერთი ნაწილი გადაიდება შევჩენკოს ძეგლის ასაგებ თანხისათვის, საღამოს რამდენიმე ქართველიც დავესწარით, რამაც ძალიან ასიამოვნა ზოგიერთი შეგნებული უკრაინელი, რომელთაც სიხარულით აღნიშნეს და მადლობაც გადაგვიხადეს.

საღამო მშვენიერი გამოდგა. ბევრი ამისთანა საღამო მინახავს, ბევრს სალიტერატურო საღამოს დავსწრებივარ, მაგრამ ამისთანა შთაბეჭდილება ჩემ დღეში არ დამრჩენია. უკრაინელების ენა ნაკლებად ვიცი, მაგრამ საღამოზე ნახული და განცდილი კი ძლიერ კარგად მახსოვს, კარგად გავიგე ბ-ნ სტეშენკოს სიტყვაც, რომელიც თავის სამშობლოს ბედ-იღბალს აღნიშნავდა და ქებათაქებას ასხამდა საყვარელ პოეტს. და რაც არ მესმოდა, რაც ძნელი გასაგები იყო, იმას ვგრძნობდი, იმას განვიცდიდი, ინსტინქტით მივხვდებოდი ხოლმე რას იტყოდა, ან რა უნდა ეთქვა.

სცენაზე, კუთხეში, იდგა მშვენიერი ბიუსტი პოეტ ტარას შევჩენკოსი. მისი მოღუშული სახე, შეკრული წარბები, რაღაც იდუმალ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა. ადამიანს ეგონებოდა, თითქოს თავის სამშობლოს გადაჰყურებს და იმიტომ არის დაღონებულიო. და მართლაც უკრაინის მდგომარეობა ყოველთვის იყო პოეტის დამაღონებელი და მის მუდმივი ზრუნვის საგანი. უბრალო ხალხის შვილი, შევჩენკო ყოველთვის მისი გაჭირვების მომღერალი იყო. ყოველთვის მისი გულის მესაიდუმლე გახლდათ. და როდესაც ჰხედავდა, თავის სამშობლოს მძინარეს, მწარედ მოსთქვამდა, იგონებდა „წარსულთა დროთა“ და ჰკითხულობდა: რისთვის ვებრძოდით გარეშე შემოსეულ მტერს, რისთვის გვიღვრია სისხლი, რა მოგვიტანა ყველა ამანაო.

„Що-ж на ниві уродило?
Уродила рута, рута—
Волі нашоі отрута-“ო.

ყოველმა წერა-კითხვის მცოდნე უკრაინელმა იცის და იცნობს შევჩენკოს. იცნობენ შევჩენკოს არა მარტო უკრაინელები, არამედ დიდ პატივსა სცემენ პოლონელებიცა. ერთ პოლონელთან მქონდა ლაპარაკი, უბრალო, გაუნათლებელ ადამიანთან. დიდი ხანი უცხოვრია უკრაინელებში, სულ ზეპირად იცოდა შევჩენკოს ლექსები და მომიყვებოდა, მელაპარაკებოდა, მიმტკიცებდა, მაგისთანა ადამიანი ჯერ არსად დაბადებულაო. და ისევ დაიწყებდა, გატაცებით ლექსების დეკლამაციას...

ჰო და, ამისთანა ადამიანის სახსოვრად იყო გამართული საღამო, ხალხიც ბლომად დაესწრო. ქალები საეროვნო ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი, კოხტად დაცქრიალებდნენ, სიცოცხლე ეტყობოდათ. ამ მხრით ჩვენი ქვეყანა მომაგონდა.

ფარდა აიხადა თუ არა, გაისმა სტუდენტთა ხოროს გუგუნი. მღეროდნენ შევჩენკოს ლექსს, ცნობილ უკრაინელ კომპოზიტორის ლისენკოს მიერ დაწერილ მუსიკის მიხედვით. სევდიანმა კილომ ჩვენებური სიმღერები მომაგონა. და ეს სევდა, ეს რაღაც იდუმალება, სწორედ შესაფერი იყო, ნამდვილ დროული შევჩენკოს სევდიან ბიუსტთან. ამიტომაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბევრ უკრაინელ სტუდენტს ცრემლები ჩამოსდიოდა...

შემდეგ კიდევ დეკლამაცია, კიდევ სიმღერები... ისევ და ისევ იმავ შევჩენკოსი. ყველგან უკრაინული ენა გაისმოდა; ქალებშიაც, ვაჟებშიაც, ერთი სიტყვით ნამდვილი დღესასწაული იყო, ნამდვილი ზეიმი საყვარელ პოეტის პატივსაცემად.

ჩვენც ვუსურვოთ მოძმე ერს წარმატება და ასრულება იმ ფიქრ-ზრახვათა, რასაც გულში ატარებდა მათი საუკეთესო შვილი ტარას შევჩენკო...

ქ. რაჭველი.

# ქია-ღუა სოფლად

მე იმ ქია-ღუაზედ არ ვამბობ, რომელიც ეგრე უხვად არის მოდებული ყოველგვარ მცენარეზედ, უხმობს ფოთოლს, უქრქავს ტოტს, უღრღნის ფესვებს და ასე შეუბრალებლად უსპობს მცენარეს სიცოცხლეს, მცენარის პატრონს კიდევ ცხოვრების წყაროს. მე იმ ქია-ღუაზედ ვლაპარაკობ, რომელიც საოცარის სისწრაფით მრავლდება ამ ბოლო დროს სოფლად, იკიდებს ფეხს შეუგნებელ ხალხში, ავრცელებს ამათში სხვადასხვა ცრუმორწმუნოებას, აგულიანებს ყველა იმათზედ, ვინც კი რაიმე კეთილ საქმეს დაიწყებს სოფლად და ამნაირად ხელს უწყობს გლეხის სიბნელეში ყოფნას, ხელს უშლის გლეხის კულტურულად წინსვლას, განვითარებას. რა კეთილ საქმეზედაც გინდათ დაუწყეთ გლეხს ლაპარაკი, სანამ თქვენ პირს გააღებდეთ სიტყვის სათქმელად, ქია-ღუამ კიდეც დაიწყო ფუთფუთი თქვენ ფეხ ქვეშ. გრძნობთ ნიადაგი თქვენ ქვეშ ინძრევა, წასაქცევად ბარბაცებთ. ჯერ თქვენგან დარგულ ნაყენს ფესვი არ გამაგრებია და ფოთოლი კიდეც დაუტკნო. თქვენ ურჩევდით სოფელს გახსნან სკოლა, რადგანაც იცით, რომ დღეს უსწავლელი კაცი პირუტყვზედ უარეს დღეშია. ქია-ღუაც ამოძრავდა თქვენ წინააღმდეგ: რა სკოლა, რის სკოლა!? უქადაგებს ხალხს.— ეგ სკოლის აშენებას იმიტომ კი არ გირჩევთ, რომ თქვენი დარდი აქვს. მაგას უნდა თაფლის გუდაში ხელი ჩაჰყოს. წერა-კითხვა იცის, ან ფულის ამკრეფად ამოარჩევთ, ან შენობას ჩააბარებთ დ მერე თითონ იცის. ერთხელვე შეშინებული და მრავალჯერ მოტყუებული გლეხობაც მალე უჯერებს ქია-ღუას და ერთხმად გაიძახის: სკოლა არ გვინდა, არა, არა!!

ერთმა ჩემმა კარგად ნაცნობმა სოფელს ათი თუმანი შესწირა გზის გასაკეთებლად. სოფელმაც ჯერ დიდის მადლობით მიიღო შემოწირულება, მერე კი შეშინებულმა ხელის კანკალით დაუბრუნა ისევ უკან. ქია-ღუას ჩაეგონებინა,—ეგ გზას იმიტომ გიკეთებთ, რომ „ფაიტონი“ აქვს და უხეირო გზა უფუჭებს. გზას გაგაკეთებინებთ და მერე თქვენ ფეხს აღარ დაგადგმევინებთ ზედაო. გადაუყარეთ ფული უკან. თქვენი მაგარი ურმები უხეირო გზაზედაც კარგად დადიან. სოფელმაც დაიჯერა და ფული უკან დაუბრუნა. ვინ არ იცის, რა საჭირო და სასარგებლოა ეხლა სოფლად წვრილი კრედიტი. თავიანთი მოკეთის რჩევით გლეხებმაც მოინდომეს წვრილი კრედიტის გახსნა შეიკრიბა მოსალაპარაკებლად ყრილობა. ქია-ღუამ აქაც წამოჰყო თავის გესლიანი ისარი, დაიწყო ჩუმად ხალხში სისინი: — რა ბანკი, რის ბანკი?! თქვე ოხრებო, რა მანთაშოვები ხართ, რომ ბანკი ამუშავოთ?! ორი შაურის დათვლა არ იცით და ბანკს კი გიხსნიან. როგორ ვერ მიმხვდარხართ, რომ ბანკი თქვენი ბორკილი იქნება. შეშინებულმა ყრილობამ ერთხმად დაიძახა: არ გვინდა ბანკი, არა, არა!! დღესაც უბანკოთა სხედან; სძვრებათ ორპირი ტყავი ჩარჩ-ბაცაც-მოვახშებისგან. ერთმა თავადმა გლეხებს თავისი მამული ნახევარ ფასად აძლია,—უშვილო კაცი ვარ და მინდა ერთი სულის საქმე გავაკეთოვო,—ეუბნებოდა გლეხებს. ქია-ღუამ სოფელი გაამაგრა: კაცო, ეგ მამულს ხომ საიქიოს თან არ წაიღებს, მოკვდება დ სულაც მუქთად დაგვრჩებათო. სოფელმაც ყიდვაზედ უარი განაცხადა. როცა გაჯავრებულმა მემამულემ ერთი-ორად მამული სხვა ტომის ხალხს მიჰყიდა, პირში ჩალა გამოვლებული გლეხობა გაიძახოდა: რა მოვსტყუვდით, რა მოვსტყუვდითო. დიდი, ძალიან დიდი შრომაა საჭირო, რომ ჩვენებუ-

აი ამ რიგად ჩვენს ცხოვრებაში იკვანძებოდა ის სოციალ-ეკონომიური ძალთა განწყობილება, რომელსაც ხიზნობას უწოდებთ. მაგრამ ასეთი მდგომარეობა, რომლის საძირკველი ბატონ-ყმურია, მხოლოდ ერთის შეხედვითაა უმჯობესი ყმების მდგომარეობაზე. როგორც კი ცხოვრების უღელში გაებმებოდა „დამოუკიდებელი“ გლეხი-ხიზანი, მაშინვე შენდებოდა ამ გლეხის თავზე ნამდვილი, სრული, ყოვლად უნაკლულო შენობა ბატონ-ყმობისა. ეკონომიურ უუფლებობას ზედ ერთვოდა იურიდიულ-პოლიტიკური უუფლებობაც და ამ რიგად იგი კვლავ ისეთსავე მდგომარეობაში ვარდებოდა, რანაირშიაც პირველად იყო.

ამ პერტურბაციის შესახებ პროფესორი ალ. ხახანაშვილი ძვირფას აზრს გამოსთქვამს თავის საყურადღებო წიგნში. პროფესორი გვიამბობს: „თუმცა ერთის მხრით კანონმა, მეორეს მხრით თვით ჩვეულებამ გაავლო **მკრთალად** განსხვავების ღარი ბოძებულსა, თავის **ნებით შესულსა** (ხიზანია), ნასყიდსა და ვალ-გადაუწყვეტელს შორის, მაგრამ ხშირად ისინი არ ირჩევიან ერთმანეთში და გაერთიანებულნი იქმნენ მე-XVIII საუკ. ბატონის თვალში. იგი (პატრონი) უყურებდა მათ (ყოველ ჯურის გლეხ-ყმებს) როგორც მემკვიდრეობითს, შეუცილებელ ყმას, რომლის **ჩამომავლობა** და მიზეზი ყმად გახდომისა საჭირო აღარ იყო. ჩვენში (საქართველოში) მოხდა ის პროცესი, რომელიც კარგად ცნობილია რუსეთში. მე-XVIII საუკ. „Закупъ“-ი, ნასყიდი, შეუძლებელი მოვალე და გლეხი ბატონის მამულზე დასახლებული, თუნდ იგი უცხო ქვეყნიდან ყოფილიყო მოსული (ხიზანია), **გახდნენ პეტრე** დიდის განკარგულებით **სამკვიდრო ყმად ბატონისა.** რაც პრაქტიკამ დაადგინა, იგი კანონით განამტკიცა ჩვენში ვახტანგმა და რუსეთში პეტრემ. დაიბადა რთული და მეტად ძნელი გამოსაცნობი ტიპი ყმისა, რომელმაც შეითვისა სხვა და სხვა ელემენტი ყმობისა“ *).

ამნაირად ხიზანი, ვითომდა „დამოუკიდებელი“ გლეხი პიროვნულ უფლებებით, ნამდვილი ყმაა ბატონისა, მას არავითარი განსაკუთრებული **რეალური** უფლება არ აქვს და თუ ხიზნობაში რაიმე სპეციფიური ძალა-უფლება არის აღმოსაჩენი, რაღაც ნასახი უფლებისა, ეს უფლებაც მხოლოდ ეფემერულია, წუთიერი; გლეხ-კაცის დამონავების პირველ ხანშივე იწყება გაქრობა ამ უფლებისა და რამდენსამე ხანში სრულიად იკარგება ძალთა განწყობილების წიაღში ისე, რომ მისი მოგონებაც აღარა რჩება. „ცოტა განსხვავებას რომ არ მივხედოთ — ამბობს იგივე ავტორი — პრაქტიკულ ცხოვრების მოთხოვნილებებით ნასყიდი—ვალგადუხდელი, ნაბოძებ **თავ-შეფარებული** პატრონობის მფარველობის ქვეშ **ერთს იურისდიქციას მოექცნენ:** ერთი ჰკარგავს მცირე პიროვნულ უფლებას, მეორე იძენს ცოტაოდენ თავისუფლებას, რომ **ერთად შედუღებულებმა დაჰბადონ ის ბატონ-ყმობა, რომელიც მე-XVIII საუკუნეში მეფობდა**“ **).

ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ **ხიზნობა ბატონ-ყმობის ჩვეულებრივი ატრიბუტია.** ხიზნობა საუშალო, ჩვეულებრივ ყმა-გლეხობის ყოფაცხოვრებას არაფერს ჰმატებს, არაფრით აწინაურებს, გლეხ-ყმიდან ის არაფრით არ განირჩევა.

რომ ხიზანი ყოველ ყმა-გლეხის გაჭირებას თანაბრად იტანს, რომ ის ყოველ გლეხსავით გაჭირებულ-დაბეჩავებულია, ამას ჩვენ ხიზანთა ყოფა-ცხოვრების უკანასკნელი სურათიც გვიმტკიცებს, ჩვენ ვხედავთ მათ საშინელ მდგომარეობას. მათ შორის მწვავე სიღატაკეს და უძლურებას.

გავიგოთ კონკრეტიულად, როგორ ცხოვრობს ეს ხალხი, როგორ მოეწყო, რამდენი აქვთ მიწა-ადგილი?

(დასასრული იქნება)

თევდ. ღლონტი.

*) იხილეთ ხახანაშვილის „ბატონ-ყმობის“ გვ. 39—40.

**) იგივე, გვ. 41.

რი გლეხის ნდობა დაიმსახუროს ადამიანმა და სოფლის გაიძვერების ხელიდან გამოჰგლიჯოს.

**დეგოთელი.**

# რუსეთი

**ზოლოტარევის გამოძიება.**

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა დაასრულა გამოძიება 17 და 18 მარტს მომხდარ მანიფესტაციების საქმეზე. ზოლოტარევი შეუდგა მოხსენების წერას, რომელსაც ამ ერთ კვირაში მინისტრ. მაკლაკოვს წარუდგენს.

**აკადემიიდან დათხოვნილ სტუდენტთა დახმარება.**

სამხედრო-სამკურნალო აკადემიიდან დათხოვნილ სტუდენტებისთვის დახმარების აღმოსაჩენად დაარსდა პეტერბურგსა და მოსკოვში კომიტეტები. კომიტეტის მესვეურეებმა მოსაწვევი ბარათები დაუგზავნეს ცნობილ საზოგადო მოღვაწეთ.

**მეუღლეთა განქორწინების ახალი კანონ-პროექტი.**

30 მარტს უწმინდეს სინოდის სხდომაზე, მიტროპოლიტ ვლადიმერის თავმჯდომარეობით დ ობერ-პროკურორ საბლერის მონაწილეობით, განიხილეს მეუღლეთა განქორწინების ახალი პროექტი. პროექტის მუხლობრივმა განხილვამ დიდი კამათი გამოიწვია. კრება თანაგრძნობით არ შეხვდა პროექტში ახალ მუხლის შეტანას, მრუშობას, როგორც განქორწინების მიზეზს. სინოდმა ეს მუხლი გამორიცხა. სულით ავადმყოფობა და მკაცრი მოპყრობაც, როგორც საბუთები გაყრისა, სინოდმა პროექტიდან გამორიცხა. სინოდმა საჭიროდ სცნო, მკაცრი მოპყრობის შემთხვევაში გავლენა იქონიოს ეკლესიამ, თუ ამ ზომამაც არ გასჭრა, მეუღლეთ ცალ-ცალკე ცხოვრების ნება ეძლევათ.

**ებრაელობის მიღების უფლება.**

28 მარტს სენატის პირველმა დეპარტამენტმა განიხილა საკითხი: აქვს თუ არა გაქრისტიანებულ ებრაელს უფლება მიიღოს ისევ ებრაელობა.

მოსკოვის გუბერნატორის აზრით ეს უფლება ენიჭებათ, თანახმად 1905 წლ. 17 აპრილის უკაზისა, სრულ წლოვან პირთ.

ამის მიხედვით უარჰყვეს შუამდგომლობა 19 წლის კოსმანისა, მიიღოს კვლავ ებრაელური სარწმუნოება.

აღიძრა საკითხი: ვრცელდება თუ არა 17 აპრილის უკაზის 1 და 2 მუხლი, რომელიც აწესებს ხნოვანების ცენზს, იმ პირებზე, რომელთაც ჰსურთ მიიღონ სხვა სარწმუნოება.

სინოდის ობერ-პროკურორი და შინაგან საქმეთა მინისტრი საჭიროდ სცნობენ ხნოვანების ცენზს.

სენატი ამ აზრს დაეთანხმა.

# ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

4 აპრილი.

**ბელგრადი.** უცხოეთის გაზეთების ცნობები იშტიბთან ბულგარებსა და სერბიელებს შორის შეტაკებაზე და აგრეთვე სერბიასა და საბერძნეთის ხელშეკრულებაზე სიმართლეს არის მოკლებულიო.

**ბელგრადი.** „სამოუპრავა“ მეთაურ წერილში იხილავს ბულგარეთის და სერბიის ხელშეკრულებას და დასძენს, რომ ხელშეკრულება, განსაზღვრულ პირობების მიხედვით დადებული, უნდა შეიცვალოს, თუ კი პირობებიც შეიცვალაო. ბალკანეთის კავშირი ვერ გაიმარჯვებდა ისე რიგად, თუ კი სერბია თვის მოვალეობას ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულებდაო. სერბია-ბულგარეთის ხელშეკრულების პირობები ბულგარეთმა თავის სასარგებლოდ შესცვალაო. აქ გასაკვირველი არაფერია, თუ კი სერბიასა ჰსურს ხელშეკრულების გადათვალიერებაო. სურვილი ბალკანეთის კავშირის ინტერესთა წინააღმდეგ არ არის მიმართული. დასასრულს „სამოუპრავა“ დასძენს: ბალკანეთის კავშირის განვითარებისთვის საჭიროა ყველა მონაწილის სწორუფლებიანობა დაცული იყოსო.

# ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

4 აპრილი.

**ვენა.** კერძო წყაროდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთის მთავრობა წინააღმდეგია, ხელი შეუშალონ დიდ სახელმწიფოთა შუამავლობას, მიუხედავად პირობების აუსრულებლობისა.

**ცეტინიე.** დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ჩერნოგორიის მთავრობას გადასცეს საპასუხო ნოტა.

**ლონდონი.** ელჩთა თათბირის სხდომა მოხდა. დაესწრო პრემიერ-მინისტრი ასკვიტი.

**რეკა.** საზღვრის პოლიციის დაარსების წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან. ამის გამო იტალიელებმა წარმოდგენის დროს დემონსტრაცია მოახდინეს. შეიპყრეს 12 კაცი.

**ბუქარესტი.** სახელმწიფოს ქონებათა მინისტრი კონსერვატორი ფილიპესკუ თანამდებობიდან გადადგა ნიშნად პროტესტისა, კაბინეთის მშვიდობიან პოლიტიკის წინააღმდეგ რუმინია-ბულგარეთის დავის საკითხში.

**გაზეთებიდან.**

**ბალკანეთის ახალი რუკა**

საფრანგეთის ელჩის, დელკასეს პარიზში გამგზავრებას იმ გარემოებას უკავშირებენ, რომ პარიზში განზრახულია ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონგრესი ბალკანეთის ახალი რუკის დასადასტურებლად.

**სკუტარის ალყა**

ვენიდან იტყობინებიან, რომ ანტივარის ნავთსადგურიდან ტრაბოშის სიმაგრეებისკენ მუდამ დღე მიდის ჩერნოგორელების სამხედრო მასალა და სურსათი. არტილერიის ბრძოლა არა სწყდება. ყოველ წამს მოელიან ციხის საბოლოო იერიშს. ჩერნოგორია არ აპირებს თავის განზრახვაზე ხელის აღებას და ცდილობს სკუტარის მისაკუთრებას. ამავე დროს მთელს მხარეში დიდი ნაკლებობაა სურსათისა; დამზადებული სათადარიგო ხორბალი გამოილია. მიუხედავად ამისა, ჯარი აცხადებს, ან სრულიად გავწყდებით, ან სკუტარის ავიღებთო.

**საერთაშორისო ფლოტი.**

საერთაშორისო ფლოტის უფროსთა საბჭომ დაადგინა: საალყო ფარგალში მოაქციოს დურაცოს ნავთსადგურიც, რადგან იქიდან ჩერნოგორელებისთვის მოჰქონდათ სურსათი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ რუსეთმა კვლავ მოითხოვა ალბანეთის საზღვრების შეცვლა, რომელიც ლონდონის კონფერენციაზე იქნა დადგენილი. ალბანეთის ახალი რუკა რუსეთმა გაგზავნა ბელგრადსა და ცეტინიეს.

როგორც წინადაც ვსწერდით, ბალკანეთის მოკავშირეთა შორის თავი იჩინა უთანხმოებამ დაპყრობილ ადგილების გაყოფის ნიადაგზე. ახლა ვენიდან იტყობინებიან, რომ რუსეთის სტამბოლელი ელჩი ჩარიკოვი ბალკანეთში გაემგზავრა კავშირის გასამაგრებლადო.

**იტალია და საბერძნეთი.**

ლონდონის სარწმუნო ადგილებიდან იუწყებიან, რომ იტალია წინააღმდეგია საბერძნეთისათვის ეგეის ზღვის კუნძულების გადაცემისა, რადგან ასეთი გარემოება საფრთხეს გაუჩენს მის სამფლობელოს ადრიატიკის ზღვის სანაპიროებზეო.

**სერბია და ჩერნოგორია.**

დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ამ დღეებში გამოქვეყნდება სერბია-ჩერნოგორიის სამეფოების შეერთების აქტიო.

**ბულგარეთის პარლამენტში**

ბულგარეთის პრემიერ-მინისტრად ნამყოფმა მალინოვმა პარლამენტში განაცხადა:

დაპყრობილ ადგილების გასაყოფად ჩვენსა და საბერძნეთს შორის წინასწარი ხელშეკრულობა არ ყოფილა, ამიტომ შეთანხმებაც უფრო ძნელია. თუ ახლავე ვერ მოვურიგდებით საბერძნეთს, ეს გარემოება გავლენას იქონიებს ზავის ჩამოგდებაზე; თუ მშვიდობიანობის დამყარება არ მოხერხდება, მაშინ ბულგარეთის ჯარი ჩათალჯის ციხის რკალს გაჰგლეჯს და სტამბოლში უკარნახებს მტერს სამშვიდობო პირობებს.

**ნეიტრალური ალბანეთი**

დიდი სახელმწიფოები შეუდგნენ იმის გამორკვევას, თუ როგორი სახე მისცენ ალბანეთის მომავალ ავტონომიას. ჰფიქრობენ, რომ ალბანეთი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადონ საერთაშორისო საგანგებო ხელშეკრულობის გარანტიით.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

4 აპრილი.

**ტოკიო.** ქვედა და ზედა პალატის რამდენიმე წევრი ჩინეთში მიდის საქმის ვითარების შესასწავლად. კალიფორნიის კანონ-პროექტის წინააღმდეგ მიტინგები იმართება.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** ლენის ამბების წლის თავზე პეტერბურგის რამდენიმე ქარხანამ მუშაობა შესწყვიტა. გაიფიცნენ მცირე სამრეწველოები. დიდი ქარხნები მუშაობას განაგრძობენ. ბალტიის ქარხნის მუშათა ნაწილი გაფიცულია. ნევის პროსპექტზე შეჯგუფდნენ მუშები და სარევოლიუციო სიმღერების მღერას აპირებდნენ. პოლიციამ მუშები გაჰფანტა. ლეონტიევის ქარხნის მუშებმა დემონსტრაცია მოახდინეს, ააფრიალეს წითელი დროშა. პოლიციამ დემონსტრანტები დაშალა, დაატუსაღა ერთი მუშა, დროშა წაართვა. ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში მუშები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ; ურიგობა არ მოუხდენიათ.

**ბოდაიბო.** საქარო დეპეშა მოვიდა, რომ ლენის მადაროებში 4 აპრილის დღემ მშვიდობიანად ჩაიარაო.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზ. „ლუჩ“-ის მე-79 ნომერი და გაზეთ „პრავდას“ მე-79 ნომერი. „ლუჩ“-ში წერილი იყო: „9 იანვარი და ოთხი აპრილი.“ პრავდაში „რისთვის“?

**პეტერბურგი.** სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო რუსეთსა და არგენტინის შორის. 129 მუხლით სამართალში არიან მიცემულნი გაზეთ „ბირჟევ. ვედომ.“ და „დენს“-ს რედაქტორები. უმაღლესი ბრძანებით 21 თებერვლის მანიფესტის მიხედვით კულიაბკოს სასჯელი შეუმცირეს ათი თვის და 20 დღის ციხე შეუმცირეს ოთხი თვის ციხით.

**მოსკოვი.** დააჯარიმეს გაზეთ „უტრო როსია“ 200 მანეთით „გოლოს მოსკვი“ 100 მანეთით.

# წერილ. რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ შემდეგ შემომწირველთა სია გამოაცხადოთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში. იაკობ გოგებაშვილის ფონდის გასაძლიერებლად. შემოსწირეს შემდეგმა პირებმა: 1. ნიკო ჭავჭანიძემ 2 მ., 2) იოსებ ნარაკიძემ 2 მ., 3) ნიკიფორე სადრაძემ 2 მ., 4) სეოაფიონ ვარდოსიძემ 1 მ., 5) იაკობ სადრაძემ 1 მან., 6) გიორგი შეწირულმა 2 მ., 7) იაკინთე სადრაძემ 2 მ., 8) იესე წილოსანმა 2 მ., 9) პორფილე ღლონტმა 2 მ., 10) ილარიონ მახარაძემ 1 მ., 11) ილია გუგუნავამ 1 მან. სულ 18 მან.

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს გორის კერძო პროფესიონალურ სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გამართულ საღამოში: ქ-ნთ მ. კეზელისას, კნ. ე. ფალავანდიშვილისას, ა. დაფქვიაშვილისას, ა. მაისურაძისას, კნ. მ. თარხან-მოურავისას, ე. ხუციშვილისას, და ბ-ნთ გიორგი იმნაიშვილს, ი. ცინცაძეს, ი. კვალიაშვილს, მ. ლოლაძეს, ე. ხუციშვილს, გ. თოზიშვილს, გ. ყანჩაველს და ცერცვაძეს, რომელთაც არ დაზოგეს თავიანთი ძალ-ღონე და ერთგულად და თანაგრძნობით შეასრულეს თავ-თავიანთი მოვალეობა, რის შედეგიც იყო სრული კმაყოფილება დამსწრე საზოგადოებისა. შემოსავალი იყო 192 მან. 35 კაპ.— გასავალი 91 მან. ამ ფულიდან უკვე განთავისუფლდნენ წლიური ფულის შესატანისაგან შემდეგი მოწაფენი: შოთნიაშვილი, ელიოზიშვილი, ფანიაშვილი, ჩუბინაშვილი ანნა, და მეგრელიძე.

გამგე სკოლისა **კნ. ელენე ზაალის ასული თარხან-მოურავი.**

გამგე საღამოსი **კნ. თ. ზ. თარხან-მოურავისა.**

**P. S.** თავად-აზნაურობისაგან მიღებულ 300 მანეთით ჯერ-ჯერობით 3 მოწაფე განთავისუფლდა სწავლის ფულისგან, სწავლის დასრულებამდინ. იმათი გვარები: თ. მჭედლიშვილი, ლაზარიშვილი და გეორგობიანი. **კნ. ელ. თარხან-მოურავი**

მ. ხ. ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ „ახალკლუბის“ მამასახლისთა საბჭოს, რომელმაც კეთილ ინება და ხარფუხის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეს შემოსწირა 100 მ.

გამგეობის თავმჯდომარე **გ. მ. შათირიშვილი**, გამგეობის მდივანი **ყ. მეხუზლა.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** **სამგზ.-საბარგო** № 8, საღ. 8 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106, საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ:** **სახ.** №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ:** **ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ:** **სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ:** **სახ.** № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან.** **ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან:** **სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან:** **სახ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ

**ყარსიდან:** **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან:** **სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან:** **სახალ.** № 9/10 ბ, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში** **სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში:** **სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, საღ: 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში:** **სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს:** **სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს:** **სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს:** **სახ.** № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს:** **სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში;** **სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п, საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში:** **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს:** **სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს:** **სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში.** **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს:** **სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს.** **სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში:** **სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასია ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები და 3 4.

## გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“** საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი, **საფოსტო** გ მი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.

№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.

№ 1. **სა.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.

№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პირდაპირი, **საფ.**, **გარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე.**

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.

№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.

№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.

№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“** საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს**, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.

**ენზელს** პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას**, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

**ენზელიდან** ორშ. და პარ. დილ. 6 ს. 10 წ.

**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 6 ს. 44 წ.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და ხედავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არ იცავენ ან ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ... მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში ... ყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 ... ლაკის მოედანზე.


# განცხადებანი

**ქემ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეზხაპურება კონსულტატიურად.**

**მ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ...გიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ზ. გ. ...:** 1—2 ს. ბავშვთა ... განი ავადმყ.

**კ. შ. ჩოქოშვილი:** 9½—10 ს. თვალისა ... ნაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საჩივრის ... ლებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულერი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა ... ფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. ... საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. ვ. ტერ-დავიდოვა** 1—2 ს. სიბერით და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთ ... უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1004 დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

**გამოსულია და იყიდება**

**ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის პიესა „გ ა მ ც ე მ ი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**

**პასხალიდის აბრეშუმის თესლი**

ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში,** **ბათუმში,** მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

**სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილება:** თესლს რაც უფრო ადრე ... რებენ მყიდველები, იმდენად უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კანტორა** ამით მოაგონებს, რომ ... ლი დროიანად დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსატანელი გზა დაკეტილია (მხოლოდ ... დენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე რჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა მ. გ. რუსიძე. 107...

**გამომცემლობა და ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“** **ქუთაისში**

ამით აცხადებს, რომ იგი შეუდგა **გიორგი ქალანდიძის (ქოჩაქიძის)** **ნაწერების გამოცემას.** წიგნს ... ძღვარებული ექნება ბიოგრაფია **იონა მეუნარგიასი**, კრიტიკული განხილვა ... **ზომართლისა**, სურათი და ფაქსიმილე. წიგნი იქნება 200—250 გვ. და ეღირება მოწერით 10 შაური, ხოლო გამოცემის შემდეგ 15 შაური. ხელის მოწერა მიიღება ... თაისში კანტორა „იმერეთში“, **ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, გამომცემლობა „იმერეთის“ ყველა იმ აგენტებთან, რომლებიც გამოცხადებულია ...ში, „კოლხიდა“-სა და „დილა“-ში. **ისიდორე კვიცარიძე.**

**თევზეულობის მაღაზია ს. ლ. ხუროშვილისა**

პუშკინის ქუჩა ტელეფონი № 496.

**ვ ყ ი დ ი თ:**

საუკეთესო მარცვლიან **ხიზილალას, ცოცხალ თევზს** „ქიტკა“-ს ... გულს, თართს, ტარაღანას, ლოქოს, მოხარშულ დოშს, ზურგიელს ... სხვა ყოველგვარ თევზებს და კონსერვებს.

**ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.** 1122

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, **ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა**

**თევზის მრეწველნი ძმ. ძევლოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

1131

გამოსული ქერჩის **სელიოტკები** და ყოველგვარი **კონსერვები**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი მრეწველოდან ახალი თევზი, ... ლა, (ქიტკა), ორაგული, ... ტარაღანა, ლოქო და სხვა. და ... თვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი** და ყოველგვარი